ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 7-ა

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

დ.აბასთუმანი 5 იანვარი 2012 წ.

ერთის მხრივ შპს „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“ (დაბა აბასთუმანი, ფალიაშვილის ქ. № 40) წარმომადგენელი დირექტორის მოადგილის ეკონომიკურ დარგში ამირან ბერიძის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“), მეორე მხრივ შპს “არალ პეტროლი“ წარმოდგენილი მისი დირექტორის პავლე ბათმანაშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

1. **ხელშეკრულების საგანი**

1.1 შემსყიდველი უკვეთავს, ხოლო შემსრულებელი კისრულობს ვალდებულობას მიაწოდოს საავტომობილო საწვავის(ბენზინი,დიზელის) (შემდგომში „შეკვეთა“).

1.2 მხარეები თანხმდებიან, რომ „შეკვეთის“ ხარისხი უნდა აკმაყოფილებდეს კანონით გათვალისწინებულ ნორმებს (სახემწიფო სტანდარტებით განსაზღვრულ ნორმებს). შესყიდვა ხორციელდება ტალონური სისტემის მეშვეობით „გამყიდველის“ ავტოგასამართ სადგურზე. მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში შესაძლებელია საწვავის საბითუმოდ შესყიდვა,ტრანსპორტირება მიწოდება „მყიდველის“ მითითებულ ადგილზე.

2. **ღირებულება და გადახდის წესი**

2.1 „შემსყიდველი“-სათვის საქონლის ღირებულება განისაზღვრება თითოეული მიწოდების მომენტისათვის გამოწერილი სასაქონლო ზედნადების მიხედვით.

2.2 „შემსყიდველი“ თანხას გადაიხდის საქონლის მიწოდებამდე.

2.3 გადახდა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორებით. ფორსმაჟულ სიტუაციაში ნაღდი ანგარიშსწორებით, მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

3. **მხარეთა ვალდებულებები**

3.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

. დაიცვას მის სასაწყობე მეურნეობაში შენახული საქონლისათვის საჭირო აუცილებელი ტემპერატურული და სანიტარული ნორმები;
. უზრუნველყოს მიწოდებული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობა შემკვეთის მოთხოვნილებისადმი.

3.2 შემსყიდველი ვალდებულია:
. დროულად გადაუხადოს შეკვეთის ღირებულება შემსრულებელს წინამდებარე ხელშეკრულების 2.2 პუნქტზე დაყრდნობით.

4 დასკვნითი დებულებები

4.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზედ ხელმოწერის დღეს და მოქმედებს ნაკისრი ვალდებულებების სრულ ამოწურვამდე.

4.2 წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერის თარიღად ითვლება პირველ გვერდზე აღნიშნული თარიღი.

4.3 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, ანდა არაჯეროვანი შესრულებისას დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის ბათილად ცნობა იწვევს მთელი ხელშეკრულების, ანდა მისი სხვა პუნქტების ბათილობას.

4.5 ხელშეკრულება ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრამდე.

4.6 ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომლებიც ინახება მხარეებთან.

5. მხარეთა იურიდიული მისამართები

შ.პ.ს. „აბასთუმნის ტუბსაწინააღმდეგო საავადმყოფო“	**მომწოდებლის რეკვიზიტები:** შპს „არალ-პეტროლი“
დ.აბასთუმანი ფალიაშვილის ქ.№40	ადიგენი-ბათუმი-ახალციხის გზის 149კმ+100მ
ს/ნ 222717246 ა/ა 34020611	ს/ნ 222729527 ა/ა 898215600
ლიბერთი ბანკი ახალციხის ფილიალი	საქართველოს ბანკი ახალციხე
ბანკის კოდი 220101466	ბანკის კოდი BAGAGE22
დირექტორის მოადგილე ეკონომიკურ დარგში: /ა. ბერიძე/	დირექტორი: /პ.ბათმანიშვილი/

საფუძველი: საქართველოს შრომის,ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. წერილი №01/58810 30/ დეკემბერი / 2011 წ.